ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 194

02 ნოემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში –შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ შ.პ.ს „პოლიგრაფისტი" (შემდგომში - მიმწოდებელი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურისათვის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ბეჭდვითი მომსახურების /79800000-CPV/ შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 375 (სამას სამოცდათხუთმეტი) ლარს დღგ-ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

მიმწოდებელი ვალდებულია:
3.1. 2015 წლის 14 ნოემბრამდე უზრუნველყოს 150 ცალი A4 ფორმატის თვითკოპირებადი, ორფენიანი ცალმხრივი ბეჭდის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის დაბეჭდვა და მისი გადაცემა შემსყიდველისათვის.

შემსყიდველი ვალდებულია:
3.2. შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხი და დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში მოსთხოვოს მიმწოდებელს მისი დროულად აღმოფხვრა.
3.3. პრეტენზიების არ არსებობის შემთხვევაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 დღის ვადაში;
4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან.

5.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0.5%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების გაწევის შემდეგ მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

8.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

10.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:

– მხარეთა შეთანხმებით;

– ფორს-მაჟორული სიტუაციით;

– ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

11. ინსპექტირების პირობები

11.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევენ: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – მზია ადუაშვილი და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი – ივანე აფციაური.

11.2 გაწეული მომსახურების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირები აფიქსირებენ ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

12. დავის გადაწყვეტა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 02 ნოემბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. №34,

ს/კოდი: 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „პოლიგრაფისტი"
მის: ქ.თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, სურამის ქ.№13
ს/კოდი: 202886261
ა/ა GE03CR0000000007193602
ს/ს „ბანკი ქართუ"
ბ/კ CRTUGE22

15. მხარეთა ხელმოწერები

ბესიკ წიკლაური
მუნიციპალიტეტის გამგებელი

ირაკლი თუმდორაშვილი
შ.პ.ს „პოლიგრაფისტი"-ს დირექტორი